ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N80

2015 წლის 29 მაისი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩაქვი, დ.აღმაშენებლის ქუჩა N5 დ-ში 165 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 60.54 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობის (ს/კ N20.48.05.224) გადაცემაზე.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე